

# მწყმისი



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისან კეთილმან სული თავის დაქსდეს ცხოვრებათვის. (იოან. 10—11).


ვაოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედილი. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთოსათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოკვდიოთ ჩემდა ყოველნი მასურაზნი და ტვირთ-მძიმენი და შე განგისვენოთ თქვენ. (მათ. 11—28).

## მოხუცებული მღვდლების დათხოვნისა გამო.

თუკაც ყველგან არა, მაგრამ ჩვენი საქარ. ავგილის ზოგიერთ ადგილას დაიწყეს მოხუცებული მღვდლების უნებურად დათხოვნა, რომ ამით ახალგაზდა სემინარიელებს ადგილი აღმოჩნდნენ. ყველა კანონები სასულიერო წოდების მართვა — გამგეობისა შეკრებილია ერთ წიგნში, რომელსაც ეწოდება წესდებულება სასულიერო კონსისტორიათა ზე უწმ. სინოდის სხვა-და-სხვა დროის კანონდებულებათა კრებულებში. არც ერთ სასულიერო კონსისტორიათა წესდებულებაში ზ არც ამ კრებულში არა სწერია, მოხუცებული მღვდლები დაითხოვეთ მათ უნებურად და

მათი ადგილები სემინარიელებს მიეცითო. ამ განონებში, სხვათა შორის, სწერია: არც ერთ მღვდელს არა აქვს უფლება სამსახურს თავი დაანებოს, თუ სამსახურის თავის დაწებებისათვის კანონიერი და პატრიარქადმი მიზენი არა აქვს. 60 წლის შემდეგ მღვდელს აქვს ნება, რომ სამსახურს თავი დაანებოს. შეიძლება კანონით დაითხოვონ მღვდელი მის უნებურადაც მისი მძიმე ავამყოფობისა გამო და კანონის წინააღმდეგ საქმეთა ჩადენისათვის. მაგრამ ჯერეთ, როგორც გვახსოვს, არა გამოცხადებულა რა, რომ მღვდელი დაითხოვეთ, თუ მას ვენსია აქვს დასახსრებული, ანუ წირვა-ლოცვაში რაიმე შეცდესო. იყო ერთი შემთხვევა: ერთმა სემინარიელმა გამოითხოვა მოხუცებული მღვდელი კაზიმანში. ეს მოხუცებული მღვდელი გა



მოცხადდა დაბარებისამებრ, მაგრამ ამ მოხუცებულმა მღვდელმა ძლიერ კარგად სწირა და ამისათვის იგი ისევ თავის ადგილზე გაუშვეს და სემინარიელს უარი გამოუცხადეს ამ მოხუცებული მღვდლის სამრევლოის მიცემაზე...

სუტრბურღის მიტროპოლიტი ისიდორე 92 წლის იყო, მაგრამ ახალგაზრდა მღვდელ-მთავრებს არ შეეძლოთ ეთხოვათ მისი ადგილი. რამდენი დეკანოზები არიან სამოცდაათი და ოთხმოცი წლისა, მაგრამ არავინ არ უბედავს მათ დათხოვნას. რამდენი მოხუცებული არსიანდროიტები არიან მონასტრების წინამძღვრებად, მაგრამ ფიქრათაც არავინ გაივლებს მათ დათხოვნას და მათ ადგილზე ახალგაზრდა ნასწავლი კაცების განწყობას. რამდენი არიან, რომელთაც მოხუცებულობისა გამო ნახევრობით დალატობს მესხიერება, მაგრამ ვინ გაბედავს მათ დათხოვნაზედ ქაღალდი შეიტანოს? მამ ჩვენმა სოფლის მღვდლებმა რაღა დააშავეს ისეთი, რომ ყოველ კაცს შეუძლოს მოხუცებული მოძღვარი ეკლესიაში გამოიწვიოს და სამსახურიდამ მისი დათხოვნა მოითხოვოს? ამ ბოლო დროს ისეთი კაცები იწვევენ ეკლესიაში მოხუცებულ მღვდლებს, რომელნიც არც ერთ სკოლაში არ ყოფილან და არც სადმე სწავლა დაუმთავრებიათ...

ეს არა სანატრელი მოვლინა გამოიწვია ჩვენში სემინარიაში სწავლა დასრულებულთა რიცხვის გამრავლებამ. „რა ქნან საწყაღმა სემინარიელებმა, თუ მოხუცებულმა მღვდლებმა ადგილი არ დაუკადესო? ამბობენ ხოლმე ხშირად ზოგიერთები. ჩვენ გვიკირს, თუ რატომ ამასვე არ ამბობენ, როდესაც უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულებს ხედევენ ასობით უსაქმით და უადგილოდ?

ამ შემთხვევის გამო ჩვენ ორიოდე სიტყვა გამოვსთქვით ჩვენს გაზეთში ახალგაზრდა სემინარიელების მღვდელად კურთხევის შესახებ და იმის შესახებაც, რომ ამ მოხუცებულნი და დასახურებული მღვდლებიც არ უნდა იყვნენ ასე უჯგოროდ, გარეშე მათი სურვილისა, დათხოვნილნი, თუ მათ ჯეროვანად შეუძლიათ მსახურება.

ერთმა კარიეთელმა ახალგაზრდა მღვდელმა პასუხი გაცვა ჩვენ და დაგვიმტკიცა, რომ

მოხუცებული მღვდლები უთუოდ დათხოვნილ უნდა იქმნენ, თორემ ნასწავლ კაცს ადგილი არასოდეს არ აღმოუჩნდებაო. სხვათა შორის მას თავის თავი მოუვდა, როგორც წამებული მოხუცებული ამხანაგი მღვდლისაგან. «ერთს მოვ-შორდი, სწერდა იგი, და უარესი მოხუცებული მღვდელი დაბინძინეს ამხანაგადო. მოხუცებული მღვდლები სწირავენ თვეში ერთხელ, მაგრამ ვი იმ წირვას, რვა ბოთლი ცივი წყალი უნდა სსნას თავზე ტრაპეზის წინ, რომ მოაბრუნონ ხან-დის-ხან გულწისუფლობისაგან». ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს და არც ვიტყვიოთ, რომ თუ მღვდელი იქნობამდისინ მოხუცებულა, რომ ფეხზე დგომა ადარ შეუძლია, ან მოხუცებულობისა გამო გული მისდის, ამისთანა მღვდლებს ნუ დაითხოვენ-თქო. არა, ჩვენ არა ვართ თანხამ იმისთანა მოხუცებული მღვდლის დათხოვნაზე, რომელმაც იმდენი არ იცის, რამდენიც იცის ახლად სწავლა დამთავრებულმა სემინარიელმა. მოხუცებულმა მღვდლებმა სემინარიელთადენი რუსული და კლასიკური ენები არ იცოდნენ, მაგრამ ზოგიერთ სემინარიელზედ მეტი მტკიცე სარწმუნოება ჰქონდათ ვიდრე აქვსოთ ჰქონდნოთ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სამრევლოში. თუ მოხუცებული მღვდელი ვეზარ ლოცვილობს და თანამდებობას ჯეროვანად ვერ ასრულებს, იმას არავისი ჩივილი არ უნდა; მართებლობამ სხვის უჩვეულოდაც უნდა დაითხოვოს იგი ჰქონდნოთ გამოწოდება კი არ არის რიგი. ვსთქვათ, ეკლესიაში შეშინდეს ორიოდე სიტყვა. განა ამისთვის უნდა დაითხოვონ? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს მრევლზედ, იკითხეთ... მრევლი იტყვის: ჩვენი მღვდელი არ ვარგებულა, თურმე ტუყვილად გვატყუებდნო და სხვა ამისთანაები... ძლიერ წინააღმდეგობის იც, როდესაც დარბი სამრევლოში არის სემინარიელი და თხოვილობს მეორე მღვდლის დათხოვნას იმ მიზეზით, რომ მისი ადგილი ხელში იგდოს...

როდესაც რაიმე უწყისობა გადავამს ფეხვებს საზოგადოებაში, იქ ყოველთვის თავაშვებულიობა ფარულაობას იწყებს. ამისთანა დროს საზოგადოებაში გარყვნილი და სულმდაბალი ზნეობაზე ქაზავებს იწყებს, მფუნაგავი მომჭირ-



ნეობის ქადაგად შეიქნება, უსწავლელი და უგუნური ბრძნობას დაიწყებს, ერთი სიტყვით მიიღოდ აირევა დავთარი. არ იფიქროთ, რომ ყველა ამას დიდი გავლენა არ ექნის ზნეობითი მხრით სამწესსაზედ.

როდესაც დავბეჭდეთ ჩვენ ამ კარიკატურის მფვდელის წერილი მოხუცებული მფვდელის დათხოვნის შესახებ, ჩვენ სიტუვას დავპირდით მკითხველებს. დღეს ვასრულებთ ამ დავპირებას. ამასთან ძლიერ გვსურდა შეგვეტყო, თურამდენად საფუძვლიანი იყო კარიკატურის მოთხრობა. დიდხანს არ გაუვლია, რომ ჩვენ მივიღეთ იმ მოხუცებული მფვდელისაგან შემდეგი პასუხი:

**მამაო რეაქტორა!**

წარსული 1892 წლის «მწევისა»-ს მკ-21 №-ში ჩემს თანამოსამსახურე მღვდელს უნებუბა უოკლითოფთ ჩემი დამიერიბა. ამგვარ მის ურიცო მოქმედებზედ არ გუკვირდოდა მასუხი მიძიგბ, მაგრამ უოკლი იცბი კალღებუელი აჩის არ დაფორცს სიმართლე და ლანახონს იგი რეაგორც მთავრობას ასე საზოგადოებას.

მე არ შეკვებოა ჩემი ამხანაგის ზნეობის აღწერას, რადგან მან თვითონ მოქეიარადა გამოხატა თავის დარსებობას და პოლიტიკის სურათი. დანიშნისათხავე ჩემთან ამხანაგად მ... გ... .., ან რა წინებული დადრეგება და დაწრბლი კანონი დამიღო მან შესახებ ჩვეინას საერთო მრკველას მიმართვისა:

«მამაო დ...! რომ გავიგონას, რომ რომელ სოფელშიაღ უკვს გბი, ამ სოფლის ზნეჩვეულებას უნდა მიუყუბ. შეინა წინამოადილე, კარგად იცბა, რომ მკვდრების ანჯარიშს ავლდა და ცრცხლებს არ ემატებოდა, ვამოლორბული აღრდგანეკე, ამიტომ გედავებოდა «მწე-ჩეჭე»<sup>4</sup>. წარმოადგიინეთ, რომ 40 მანეთის ადგილზე თუმწის ახდვიქებდა, თუმწის ადგილზე 3 მანეთს, 3 მანეთის ადგილზე მანეთს და ხან ნაკლებსაც... ა ჩემი ჩვეულება ეს არის, და იმედა, თქვენც მხარს მამტვეთ და თანსწორად ვამოქმედებთ მრკველისგან მოსათხოვნილ ანჯარიშების დროს, რომ დაზახების სასცილო არ გავხდეთ, კარგი შეძლებული თავისი ნებთ ისდის საომბოცოდა 40 მანეთს გარდა 1 თუმწის მიმოდგორცობს და მანეთს ანდრბმის თვლის. სასკადო ნახკვარ საომბოცოდა 20 მანეთს, გარდა სამომდგრო თუმწისა. მღარე სამომდგრო და ანდრბმის 11 მანეთს და სხვა შეძლებისაგარდა. ხანდახან ვაწარვინებენ, მარა იცოდავ, წირგამწიეთ ნაკლებ სრავან შემობტებენ, მთლიან დარბი—8 გინა 6 მ. სულ უსაშუალო 3 მ. მიწის. სტეირკეინო: დაწებული 5 მანეთადგან 30 მანეთამდის სათქმელი არ არის. მოწმობას ვაჭი თუ აიღებს და იქით მიადის, ამას ნახკვარ სტეირკეინო და თუ აქ იწერს

სრულად და ასე, იმედა, ერთმანეთის სასცილოდ არ უჩვენებთ თავს საზოგადოებას და ამაში მხარს მომტემო. თქვენს ა..... 9 სტატემერს 1892 წ. \* \*)

ამისთანავე ღეთს და კაცის წინააღმდეგ მოთხოვნებზე არმტ თუ დაკეთხნებ, არმტელ საზოზრად მივიღე მისი მოწერილობა. ნუ თუ მღვდელს სიმართლე აქვს მრკველს შეწინამოხედავით ეკავრცს ლოცვაკურთხევის აღსრულებისათვის და შეუბარებულად დაადრას მდიდარის და ღარბისათვისაი მოგონილი ფასი. უოკლი მომდგვარა კალღებულად მრკველი არ შეაწესოს უკანონო მოთხოვნებებით, არმტელ კაჭირკებაში კილტუნდას შექეიოს ღარბთავანს. აი ამ რავმა ჩემი შესეღულემა ააშოთათა ჩემი ამხანაგი და უმეკრად ისენიებს თავის ნაწერში რეგორც ჩვენს სასულიერო მთავრობას, ასე მე..... ღეთის წინაშე ტეშმარტუბით კავდარბებ, რომ მე არ ვარ არც მოსულერბებულად და არც სხვაზე გამოუცდელი სამისურში, მხოლოდ მით ვარ დაზნავე, რომ მე არ მოკოსთხოვ სამრკველს უკანონო ზედდოსა, კანონიერს დიდის გამოფულებით მამღკვენ.

ამ წერილს ჩვეინის მხრით განმარტება ადარ ეჭირვება... იგი სრულიად ამტვიცებს მისი დამწერის მიმართულებას...

ეჭვს გარემება, რომ ძველი სწავლება ესლანდელი სწავლება-განათლებლას ვერ მიუღებოა, ეჭვს გარემება ისიც, რომ ქადაგებითი სიტუვა, სწავლება მომდგვრება ესლა უფრო მეტია, ვინმე წინეთ იყო; საეჭვო არავისთვის არის, რომ დღეს სასულიერო სემინარია ამზადებს სამღვდელიად მოსწავლეობა და ბევრიც იცინას, მაგრამ ვიდრეიდის იმისთანა შენედელობა ეწნებათ მრეფხზედ ამ ახალგაზდა მომდგვრებს, როგორიც ამ ჩვენ მწერალს «გარეითელს» ჰქონებია, ზნეობას იოტის თდენად წინ ვერ წასწივეენ და მართო ცოდნა გრომათ არა დიროს. ეს, ვკონებ, ყველამ კარვად იცის.

ძლიერ დაფიქრება მართებსთ ამისთანა დროში იმ სემინარიელ მფვდელს, რომელთაც ტეშმარტიტის სურვილით უტვირთავთ მომდგვრობა. არასოდეს არ საჭიროებდა ხალხი კეთილმომდგარბ ისე, როგორც დღეს და იმედი ვაქვს, რომ ახალგაზდა სემინარიელები საქმით და ცხოვრებით დაუტვიცებენ თავთან სამწესსოთა, რომ ივინი არიან სამრეფვლოს კეთილი მწევენი და ტეშმარტიტი მომდგვარნი...

დგმ. დ. ღამაშიაი

\* \*) ნამღვილი წერილი რეაქტორში არის წარმოდგენილი. რედ.



### პედაგოგიური შენიშვნები საქრეველო სკოლის მასწავლებელთა საურადადებოდ.

სკოლაში წესიერების ანუ დისციპლინის დაცვა უნდა შეადგენდეს ერთს უმთავრესს და უსაქიროვს სამზრუნველო სავანის მასწავლებლის და მოსწავლეთა მხრით. ყველა სკოლაში, სადაც სირუმე არსებობს, სალდათური გაწრთენის წესებია შემოღებული ან საზოგადოთ, სადაც გარეგანი წესიერება სუფევს, არ არის შესაფერისად დაცული გონიერი მოთხოვნილება სკოლის წესებებისა, დისციპლინისა. დისციპლინა არის ცნოველი თვითონ სკოლის წესიერება, სისტემა სკოლის და მასწავლებლის ზნეობრივად გავლენისა მოწაფეზედ. შესანიშნავი პედაგოგები საამართლიანად ამტრებენ, რომ სკოლის წესიერება, დისციპლინა სულია სკოლისაო. რუტების ერთი საპატრო პედაგოგი მიროზოლსკი ამბობს, რომ სკოლის წესიერება, დისციპლინა თვითან მასწავლებელი არისო.

სკოლის წესიერების მიზანი უნდა იყოს ბავშვის ზნეობის და მტკიცე ხასიათის აღზრდა, ამისათვის ყოველთვის ყველაზე უპირველესი და უმჯობესი საშუალება არის თვითონ მასწავლებლის პიროვნება, ამიტომ მასწავლებლისგან მოთხოვება, რომ ის მაგალითის წარმოადგენდეს თავის მოწაფეებისათვის. საზოგადო არის კარგ მასწავლებელზე ისეთია, როგორც კარგ კაცზე, მაშასადამე კარგი აღმზრდელი და მასწავლებელი, ამბობს ქან-ჟაკ-რუსო, უნდა ცდილობდეს ჯერ თავის კარგ კაცობაზე, რომ მოწაფეებს შეეძლოს მასში პოვნა კეთილი, კარგი მაგალითებისა. ნემცების ერთი პედაგოგი კერი ამ ნიორად ახასიათებს მასწავლებლის პიროვნების გავლენას მოწაფეებზე: ბავში იცავს წესიერებას, როგორანობას ყველაფერში, თუ ამ გვარ თვისებასეე ჰხედავს თავის მასწავლებელში, აღმზრდელში; ბავში არის მშვიდი, კეთილის მსურველი, პატრონისა, სამართლის და მშვიდობის მოყვარე, თუ მასწავლებელი უყურებს მას ყოველთვის მშვიდით, სამართლიანათა, გულკეთილათ. ბავში არის მზიარული, კმაყოფილი, გულკეთილი და ბედნიერი, თუ მასწავლებელი ამ თვისებით არის აღჭურვილი. პირიქით, ფრიად ჩვეულებრივი და ზშირი მოვლენა არის საზოგადო მოსწავლო გამოცდილებაში, რომ ქინიანი მასწავლებელი ჩივის თავის მოწაფის თანგობაზე, ქინიანობაზე; უმესო, უხეირო და ზარბაცი ზშირად ებრძვის სიზარბაცეს; უმეცარი და კანდიერი ჰხედავს თავის მოწაფეში კანდიერებას, თანხედობას, გაქსებულობას და სხვ. ამიტომ, როცა მასწავლებელი ჰხედავს თავის მოწაფეში უწესურობას, ნაკლებეყვანებას, პირველად მან უნდა მიაქციოს თავის საქციელს ყვარადება, ანალიზი უყოს და იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ ყმაწვილის ცუდი ყოფა-ქცევის ნაკლებეყვანების მიზეზი მასწავლებელი და მისი საქციელი არ იყოს.

მოწაფეების ხელმძღვანელობა შეუძლიან მხოლოდ იმისთანა მასწავლებელს, რომელსაც სიყვარული და პატრებისცმა დაუმახსურნია თავის მოწაფეთანგან. ზოგჯერ მოსიყვარულე მასწავლებლის ერთი სიტყვა, შეხედვა საკმაოა, რომ შევაჯავოს მოწაფე წესიერების დარღვევისგან. ზშირად ერთი აზრი, რომ პატრებულნი მასწავლებელი ჩვენზე უმეყოფელი იქნებაო, შეაჩერებს მოწაფეებს ნება დაურთველ მოქმედებისაგან. ერთი და იგივე მოთხოვნილება, თუ ის ეკუთვნის კეთილ ხასელიანს, ავტორიტეტის მქონე მასწავლებელს ხალისიანად დაუყონებლივ სრულდება მოწაფეთაგან, მაშინ როდესაც იგივე მოთხოვნილება უავტორიტეტო მასწავლებლის ხელში გამოიწვევს მოწაფეთა მხრით ბევრს სკოლის წესიერების დარღვევას. ბავშვები ზშირად არ არიან მორჩილი მასწავლებლისა მისთვის მხოლოდ, რომ არ აქვთ ხალისი დამორჩილონ უავტორიტეტო, მძულვარე პირს.

აქედამ სჩანს, რომ საქმის კეთილ-ნაყოფიერებისათვის საჭიროა მასწავლებელმა მოიპოვოს და დაიმკიდროს მოწაფეთა შორის კეთილი ხასელი და საყვარული. კეთილი ხასელი ანუ ავტორიტეტობა შეიძინება კეთილ-განწყობილების ჩამოვადებით მოსწავლეთა და მასწავლებელს შორის, სამართლიან და პატრონისადამოკიდებულებით, მუდმივი დახლოვანებულად ზრუნვით მოწაფეთა გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, წარმატებაზე. უეჭველია ამ გზით სწავლის საქმეში წარმატებას რაგი დიანხვენ მოწაფეები—სწველაც შეუყვარდებათ და მასწავლებელიც.

მართალია, რომ ჩვენი ბავშვები უმეტეს დროს ოჯახებში ატარებენ, სადაც, სამწუხაროდ, დედამისის უქცრებისა გამო ბევრს ზნეობით საწინააღმდეგობაც, ცუდ მაგალითებს ხედვენ, ისმენენ, —მაგრამ სკოლას იმისათვის აქვს აღმზრდელიობითი მნიშვნელობა, რომ აქ მინც, ამ განათლების ტაძარში,



ბავშვი უნდა ხედავდეს, უნდა ისმენდეს ყოველივე მის, რასაც შეუძლიან კეთილ-ნაყოფიერად იმოქმედოს ბავშვის აზროვნებაზე, კეთილისაღმი მისწრაფებაზე, მტკიცე ხასიათის შეთვისებაზე, შემეშაფებაზე და სხვა.

სკოლაში წესიერების დამყარება და გავრძელება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ მიჰყავს სწავლების საქმე მასწავლებელს. თუ სწავლება მიდის კოცხლად, ბავშვები არ იღლებიან მოწყენილობისა და ხანგრძლივის ჯდომისა გამო, მაშინ ამგვარი სწავლება იქნება საუკეთესო საშუალება სკოლაში შენაფერი წესიერების გასაგრძელებლად. დისტრეგრების აზრით კარგს სწავლებას ისეთივე კეთილ-ნაყოფიერი გაელნა აქვს ბავშვის ყოფაქცევაზე, როგორც კარგს სკოლის წესიერებას, დისციპლინას: „ვისაც შეუძლია კარგად სწავლება, ამბობს დისტრეგრები, იმას შეუძლიან კარგად წაიყვანოს სკოლის წესიერება, დისციპლინაც“. უშინსკი ამას არ კმარობს, ის ამტკიცებს, რომ გონიერულად მოწყობილ სკოლაში მოსწავლის დასჯა სინაზამაცისათვის არ შეიძლება, მისთვის რომ გაკვეთილები სკოლაშივე ისწავლება, არ შეიძლება ეშმაკობისთვისაც კმაწეღლის დასჯა, ამბობს უშინსკი, მისთვის რომ სკოლაში სწავლის დროს ბავშვები საქმეში არიან გართული და ეშმაკობისა და ცუქქობისათვის არა სცადიანოა. ამგვარი შეზღუდულობის არიან სკოლაზეც ჰედაგობები და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ირღვევა საქიროება სხვა ზომებისა კეთილ წესიერების დასამყარებლად ჩვენს სკოლებში, სადაც უმრავლესობა ბავშვებისა იკრიბება უმეცარ ოჯახებიდან, ხშირად ცუდ ზნე-ჩვეულებით აღჭურვილნი, ამისთვის მასწავლებლის და მოწაფეთა მხრით, რომელნიც სკოლაში დადიან, სავალდებულოა მიგაჩნია წესების დაცვა: ყველა მოსწავლეს და მათ დასწავლი ნიეთებს, მასწავლებლის ჩვენებით, უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ადგილი, თავის ახლო მასწავლებელმა უნდა დასესს დიდი და უფრო საიმედო მოწაფე კი არა, — პატარაები, სუსტები და უფრო ცუქქები, რომლებიც ითხოვენ მასწავლებლისაგან უფრო ფხიზელ ყურადღებას, უფრო ხშირ შემწეობას, მასწავლებლისაგან შევლას და დახმარებას გაკვეთილების დასწავლის დროს. კარგია აგრეთვე, რომ კარგი მოწაფეები იხსენდნენ სუსტებთან, რომელთაც უფრო მალე და ადვილად შეუძლიანთ დისწავლენ რიგინად კლდის

დაჭერა ხელში, რეულებების დადებაც და წერაც. მე ჩემი გამოცდილებით ბევრჯელ დაერწმუნებულვარ ამაში, ყოველთვის, როცა კარგ მწერალთან დეგეამ-ლი ცუდათ გლახათ მწერალს — ეს უკანასკნელი უფრო მალე იცეღიდა ხელს და სწერდა ისე, როგორც მისი შეზობელი კარგად მწერალი ამხანაგი. საზოგადოათ ბავშვები ადვილად მხაძავენ წლოვანობით და ძალით ერთნაირს თავის მხლოვებს, იმტომ, რომ ამ შემთხვევაში იმათ დიდი იმედი აქვთ და დიდათ ცდილობენ არ ჩამორჩენ თავის ამხანაგებს. ერთხელ დაჭერილი ადგილი, მასწავლებლის ნებადაურთიველად, მასწავლემ არ უნდა დასტოვოს. ცარცი, ჩეარი, ღრუბელი, ავეჯუეულობა და სხვა დასკოლო კუთენილება, ხმარების შემდეგ, უნდა შეინახონ მისთვის მიჩენილ ადგილზე. ამაში ჰასუსხის მეგბელი უნდა იყოს მორიგე მოსწავლე. თავის საკუთარს ნიეთს თეთთანვე უნდა ადვენან თვალყური. თუ სკოლაში ბევრი მოწაფე არის, სკოლიდამ გამოსვლის დროს, რომ ასცილდნენ, ხმაურობას და უწესოებას სკოლაში, საქიროა დაწყობილი გავიდნენ გარედ, როგორც მასწავლებელი, ისე მოწაფეებიც დანიშნულ დროს უნდა გამოცხადდენ სკოლაში და დანიშნულ დროსვე წაიდანენ სკოლიდგან. ყველა გაკვეთილი თავის დროზე უნდა იწყებოდეს და თავის დროზე — თავივდოდეს. ამნაირად დროს განსაზღვრა და სასტუკად შესრულება ჰშვილის, როგორც სწავლის წარმატების საქმეს, აგრეთვე უმტკიცებს ბავშვებს კარგს ჩვეულებას — თავგამოდებულ სწორე და რიგიან მუშაობას. თუ სწავლა იწყება არ განსაზღვრულ დროს, მასწავლებელი და მოწაფეებიც იგივანებენ, იქ არ იქნება თანამდებობის ანუ მოვალეობის პატრონსად აღსრულება და არ წარმატება სწავლის საქმეში. სკოლა დაცემა, მთელი კლასის თვალყურის სადგებლად სწავლების დროს მასწავლებელი უნდა იდგეს კლასში ისეთს ადგილს, რომ მას ადვილად შეეძლოს მთელი კლასის ყოველი მხრით ადვილად დანახვა. გაკვეთილების დროს მასწავლებლის სიარული საკლასო ოთახში, რადგანაც მოწაფეთ გულის ყურს უფნატავს, თუქც შემთხვევა და საქიროება არ მოითხოვს, საქირო არ არის. იქ სადაც მოწაფეები თავისუფლად, ფართოდ, ხალვათად სხედან, ადვილად შეიძლება სკოლის წესიერების დაცვა, მაგრამ თუ ბევრი მოწაფე ზის ერთად და ეწიროობა არის — მასწავლებლებს უფრო დიდი ყურადღება, ენგრგია და



მეკადნეობა მართებს სკოლის წესიერების დაცვას.

ამ უკანასკნელ დროში, როგორც პედაგოგებმა, აგრეთვე ექიმებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკლასო სტოლების და სკამების რიგიანად, ჰიგიენური მოთხოვნების შესაფერისად მომართვას, მოწყობას. ცნობილია, რომ ადამიანი, როცა ზის, მხოლოდ ნახევრად ისვენებს; ჯდომის დროს ტანს იტერს, იმაგრებს ხერხემლის ძვალი და ზურგის კუთები, თავს—კისრის კუთები, რომელიც ზოგიერთ ძალდატანების შემდეგ თხოვლობს დასვენებას. რადგანაც ცუდად მოწყობილი სკამები, სტოლები არაფერ შემწეობას არ აძლევს კუთებს, ამიტომ კუთები მალე იღლება, სუსტდება, რის გამო ბევრი ზურგში იხრება და თავიც წინ მკერდზედ ჩამოეკიდება. ხერხემლის ძვლის გამრუდების გარდა სკამზედ საზურგის და ფეხის დასადგმელის უქონლობისა გამო ბევრს ხშირად ემართება სისხლის ავარდნა თავში, ამას მოყვება ცხვირიდან სისხლის დენა და სხვა ბევრი ცუდი შედეგი. პირველ გაცეითილის დასაწყისში მოწვევები სხედან, როგორც რიგია, —პირდაპირ, არ ეყრდნობიან რასმე, არ ირხევიან აქეთ იქით, მაგრამ რაკი ნახევარი საათი გაივლის, თუ სტოლი და სკამი, როგორც უნდა ისე არაა მოწყობილი, კუთები სუსტდება და ბევრი სცილილობს როგორც მოუხდენა მას, ისე დაჯდეს, დაისვენოს, იღაყეს სტოლზე დასდებენ, თავის მეზობელ მხანაჯს მიაწვებიან, მიბეჯინებიან, ფეხებს აბარტყუნებენ. კლასში დაიწყება ხმაურობა, ასტყდება ხანდისხან ხრიალი, ალიაქოთიც, იშლება სკოლის წესიერება, დისციპლინა, მასწავლებელი იძულებულია, რომ ამის გამო რამდენჯერმე სხვა-და-სხვა ზომები მიიღოს წესიერების ჩამოსადგენად და თავის პირდაპირ გაზას ასცილიდეს.

ამ ნაკლებუნებათა ასაცილებლად საჭიროა მასწავლებელმა საკლასო სტოლებისა და სკამების გაცეითების დროს სახეში იქონიოს შემდეგი პირობანი: სტოლს ისეთი სიმაღლე უნდა ჰქონდეს, ბევრს ძირს ჩაშვერილი ხელის იდაყვამდის უსწორდებოდეს. სკამის სიმაღლე იატაკიდან ბევრის წიგის სიმაღლეს უნდა უდრიდეს, ასე რომ დაჯდომის დროს ბავშვის ფეხი სწორი კუთხით უნდა მოიხაროს მუხლში, ტერფი მთლად უნდა იდგეს იატაკზე, ან ფეხის დასადგმელ ფიცარზე, რომელიც სკამებს უეჭველად უნდა ჰქონდეს სიგანით ხუთი დიუმიზე არა ნაკლებ

ბი, რომ ფეხი თავისუფლად მოათავსდეს ზედ. სკამს უნდა ჰქონდეს აგრეთვე ცოტა უკანით დახრილი საზურგე, თითო სტოლს ორი ბავშვისათვის სამყოფი ადგილი უნდა ჰქონდეს.

ყველა შემოდგომულ საკლასო წესების დაცვას და ასრულებას უდიდრად უნდა თხოვლობდეს მასწავლებელი მოწვეთაგან, მაგრამ რომელიმე წესიერების დარღვევის შემდეგ მოწვეთისაგან მასწავლებელმა არაოდეს სასტიკი ზომები როგორცაა—ცემა, ხელით შეხება, სახაზავების მტერევა თავზე, დაოქება და სხვა, არ უნდა იხმაროს. ეს ზომები ღიბი ხინა, რაც ახალი სკოლებიდან, ამ ჰუმანიტურ სახელოსნოდან განიღვენა და ძველი სკოლების ისტორიულ არხივს ჩაბარდა. სამწუხაროდ ზოგი ჩვენში მაღალ განათლებულებშიდაც, რომელთაც პედაგოგიური განათლება ჩრდილოეთში დომოსტროის პედაგოგიური თხზულებებიდან შეუქმნათ, მოიპოვება ისეთები, რომელთაც თანამედროვე პედაგოგის მოთხოვნებიდან არა ესმისთ რა, სამასი წლის წინად ამბობდა, ქადაგებდა ამოს კომენსკი, რომ სასტიკ დასჯას სკოლაში და არც შინ ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ადამიანის ბუნებაში თითოთი მოიპოვება თესლი ცოდნისა, სიყვითისა, ადამიანი თავის ბუნებით ეწაფება სწავლას, ცოდნის შექმნას, მაშასადამე საჭიროა ცოტათი შეგულიანება, გონიერი ხელომძივანელობა, რომ ყმაწვილი გასწორდეს, არ საჭიროებდეს სასტიკ ზომებს. მაგრამ ეს შეიძლება მაშინ, თუ სწავლების საქმე რიგიანად, გონიერად მიდის. ცუდად სწავლების დროს დასჯა აუცილებელია, ამიტომ მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვის გულსკური, ერთს საგნისადმი მიქცეული, ხშირად არ იფანტებოდეს აქეთ იქით. ეს შეიძლება მაშინ, როდესაც ყველა მოწვეუ სამუშაოში მონაწილეობას იღებს და მასწავლებელიც აძლევს ზოგადად გასაგებებს, მისახლამ კითხვებს, რომელზედაც დაწერდებოთ შემდეგ წერცლში მოცილაზარაკებთ.

დ. ბოცგამე





### პედაგოგიკის ისტორიიდან

(გაგრძელება \*)

ზლატონა, (429—343 ქრისტეს წინ) მოწაფე სოკრატისა, ითვლება ფრიალ შესანიშნავ ფილოსოფოსად ძველს დროში. ოცი წლის პლატონი მოვიდა ათინაში სოკრატთან და სცხოვრობდა მასთან 8 წელიწადი. სოკრატის სიკვდილის შემდეგ იმან დაიარა მთელი საბერძნეთი, იყო სიცილიაში და ეგვიპტეში და ამ მოგზაურობის დროს გამდიდრდა სწავლა-ცოდნითა. ის იყო ძლიერი ღრმად განათლებული პირი, ასე რომ იმაში გამოიხატა მთელი სულთერის ცხოვრება საბერძნეთისა. ათინაში დაბრუნების შემდეგ იმან დაარსა სკოლა, რომელშიაც ასწავლიდა ახალ-თაობას სიკვდილამდის. მისი მოსაზრებანი ბავშვთა აღზრდის შესახებ მოთავსებული არიან მის თხზულებებში: «Три книги о Республикѣ» და «5 книгъ о законахъ»-ში. პლატონმა განაგრძო თავის მასწავლებლის მოსაზრებანი ბავშვთა აღზრდასწავლების შესახებ და შეადგინა მთელი პედაგოგიური სისტემა, რომელსაც დაასვა ბევრად თავის გონებისა.

ბავშვთა აღზრდა უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს ერთს საღმრთო მოვალეობათაგანს, ვინაიდან ახალთაობის ასეთი თუ ისეთი განათლებაზედ არის დამყარებული თვით სახელმწიფოს ასეთი თუ ისეთი მომავალი ბედი. აღზრდამ — ამოაბს პლატონი — უნდა თანდათან შეაჩვიოს, შეათვისებინოს ახალთაობას ხასიათი იმ ცხოვრებისა, რომელიც მოწონებულია და განსაზღვრული კანონის მიერ და საუკეთესო კაცებისგანაც გამოცდილი და აწონილი დაწკონილია, ამ შემთხვევაში დიდი მწიფნელობა აქვს შეჩვევას, რომელიც ჩაუნერგს ნორჩს ბავშვს გულში სიყვარულს ასეთი ცხოვრებისას.

აღზრდა ბავშვებისა უნდა დაწყებულ იქნეს მათს დაბადებამდის. ცოლ-ქმარის ქორწინებრივი შეკავშირება უნდა იყოს დამყარებული წრფელს და წმიდა სიყვარულზედ, რომელსაც შეუძლია მათ შორის დაამკვიდროს მშვიდობა და მყუდროება. ცოლ-

ქმარი «შვირთების» დროს უნდა ფხიზელი იყვნენ ე. ი. არ უნდა იყვნენ მთერალნი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათს შვილს რაიმე ნაკლულეცანება გამოეყვება ან სხეულისა და ან სულისა. ფხ-მიმე ქალი უნდა რამდენიმე საათობით ყოველს დღეს სასიგნორად იარებოდეს წმინდა ჰავრზედ; ის ორსულობის დროს უნდა სტეპებოდეს მშვიდი და წყარარის ცხოვრებითა და არ უნდა ძიქვეოდეს გულის წყარომას, მრისხანებას; წინააღმდეგს შემთხვევაში გულფიქნელობა ნერვების შემწეობით საშოში მყოფს შვილს გარდაეცემა და ესრედ შვილი მისი გამოვა ავეული. დაბადების დღიდან სამს წლამდის ბავშვის ფიზიკურს აღზრდას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მშობლები და აღმზრდელნი — უნდა სცდილობდნენ — პლატონის აზრით — განავითარონ ყოველივე ნაწილი ბავშვის სხეულისა თავისუფლად. სამს წლამდის ბავშვს ხშირად ხელით უნდა ატარებდნენ წმინდა ჰავრზედ. მაგრამ მშობლები და აღმზრდელნი უნდა სცდილობდნენ ბავშვი ნამეტნავად არ გაასათუთონ. გასათუთებას შეუძლია ბავშვი ანჩილი და აუგულა გამოიყენას, ბავშვს ამასთანავე ნამეტანსასტიკად არ უნდა ეპყრობოდნენ. სასტიკად მოპყრობას შეუძლია ბავშვი მშიშარა და მხლელი გამოიყენას. ამ შემთხვევაში ფრიალ საქიროა ზომიერება, რომელსაც ჩავეგონანებს კეთილ-გონიერება და ბრძნული გამოცდილება. ბავშვის ნორჩი ბუნება მეტის მეტად ჩქარა ეძლევა შთაბეჭდილებას, უყვარს მას მიბაძვა დიდებისა, — ამიტომ — პლატონი უჩვენებს მშობლებს ფრთხილად იყვნენ ბავშვის წინაშე, რომელსაც შეუძლია აღვილად შეითვისოს მათი სიტყვა-პასუხი, საქციელი და მოქმედება. მოვალე არიან მშობლები ბავშვის წინაშე სცხოვრობდნენ თანახმად ნამვილის წინაშის მოთხოვნილებისა, და ასეთს ცხოვრებას ექნება ბავშვის ნორჩის ბუნებაზედ უფრო დიდი საკეთილო გავლენა, ვინემ მშრალს დაორიგებას. მშობლებმა უნდა განაშორონ ბავშვი ყოველივე მას, რასაც შეუძლია ვახრწნას მისი ბუნება. გაუფუჭოს მას ხასიათი. ბავშვს არასოდეს არ უნდა უშაბან ისეთი ამბები, რომლებიც გამოიწვევენ მის თავში საშიშ წარმოდგენათა, არ უნდა დაუხატონ ისეთი სურათები, რომელნიც საზარელი არიან და მოპკვდნენ მის გულში სიმშიარულეს სულისას, ძალას ნებისას და მისწრაფებას გონებისას. სიმშიარულეს სულისას, მყუდროებას გონისას შეუძლია აღადგინ-

\*) იხ. «მწიგნობარს» № 5—6, 1893 წ.



თოვანოს ბავშვის მისწრაფებანი, განაკისკროვნოს მისი ხსიათი და ესრედ საფუძვლად ექმნეს მის ჯეროვანს წარმატებასა, მის ყოველ-მხრივ განვითარებასა.

სამიღვან ექვს წლამდის ბავშვები ორისავე სქესისა უნდა გართობილ ექმნენ სხვა-და-სხვა სათამაშოებში. ამისთვის საჭიროა ექმნეს დანიშნული განსაკუთრებული ადგილი, სადაც უნდა გროვდებოდნენ ბავშვები სათამაშოდ. ბუნება ბავშვისა ისეა მოწყობილი, რომ თვით თხოულობს სათამაშოებს, — ბავშვს უყვარს სათამაშო ნივთების ხმარება, ის თვითონ თხზავს სხვა-და-სხვა სათამაშო ნივთებს და მით ერთობა. სათამაშოები ძლიერ სასარგებლონი არიან ბავშვისთვის. ისინი ბავშვს აძლევენ მიმართულებას და ესრედ ამზადებენ მომავლისთვის. ყველა ბავშვს არ უყვარს ერთნაირი სათამაშოები. თითოეული ბავშვი ირჩევს სათამაშოს თვისი ხასიათის, თვისი ავებულების შესაფერს. მომავალი არქიტექტორი ბავშვობის დროს აშენებს სახლებს, ანგრვებს მის და ისევ აშენებს, — მომავალი ლერგალი სთლის ჩიხარს, ნაფოტებიდან ქოხს აშენებს და სხვა... ამიტომ საჭიროა დიდი ყურადღება ექმნეს მიქცეული სათამაშოებზედ. გამოკდილს აღმზრდელს შეუძლია მათის შემწყობობით გვიგოს, თუ რას ეტანება ბავშვი, რაში უფრო იხენს ნიჭსა და ამის თანახმად აღზარდოს იგი. ბავშვები თამაშობის დროს უნდა იყვნენ კეთილ-გონიერი და ზნეობით საიმერო გადაეცოს ხელმძღვანელობის ქვეშე. გადიებმა უნდა უამბონ დრო გამოწვევები ბავშვებს მოთხრობანი და გარდმოცმანი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსისა, რომ იმის მეოხებით ისინი პატარობითვე შეეჩვიონ კეთილ-ზნეობას, რომელიც შეადგენს ძვირფას გვირგინის კაცის ცხოვრებისას. აღმზრდელმა (გაღამ) ამ ხანებში, 3—6 წლამდის, უნდა შეაყვაროს ბავშვს თავი. უკეთუ ბავშვს უყვარს თავის აღმზრდელი — ამბობს პლატონი — უკეთუ ენდობა მას, ის სიხარულით მიიღებს მისგან ყოველს გეჯებს დარიგებას, სიამოვნებით დასუფლეს ყურს მის საუბარსა. ცემით დასჯას პლატონი უკლის თვლით უყურებს, თუმცა ურჩევს აღმზრდელს უკიდურესს შემთხვევაში, უკეთუ ნამეტანს სიკვრებს გამოიჩინეს ბავშვი, ცემით დასაჯოს იგი. მაგრამ კეთილ-გონიერი აღმზრდელი ბავშვს ცემით დაუსჯელადაც მოარჯულებს და ამიტომ ჩვენის აზრით ცემით დასჯა, რომელსაც პლატონი

ურჩევს აღმზრდელსა ბავშვის მოსარჯულეობად, საშუალოდ განგდებულ უნდა იქმნეს ხმარებისაგან. წყნალით ცემა, სხეულის დასჯა, ტყვილით აღძვრა — ნაყოფია გონების სიზნეღისა, კაცობრიობის უცილობისა და მოასწავებს, უკეთუ ჩვენს დროში იხმარება სწავლების დროს, აღმზრდელის ბარბაროსობას და მის უყვარვისობას სწაველა-ღზრდის საქმეში. ცემით დასჯას შეუძლია დაამკროს ბავშვის გულში გრძობა თამაშობისა და სარცხვილანობისა, და ამ გრძობის დამკირების შედეგი კი — ზნეობითი აღცემა. პლატონი ტყუილად არ ურჩევს მშობლებს დაღუტონარ სიკვილში შემდგომ ბავშვს სამკვიდროდ არა აუარებელი ოქრო-გვერდისი, ეს ხმარა წამყვალი ფუჭა საუნჯე, არამედ ზნეობითი საუნჯე: გრძობას სარცხვილ-ნაშუსიანობას და სიმეფუღი ბიწიერი ცხოვრებისა.

ექვსი წლიდან ქალები და ეაქები უნდა გამოზარდონ ერთმანერთსა და აღზარდონ ისინი თანახმად მათის სქესებრივი მოთხოვნისა. ეაქები უნდა მიზარდონ პედაგოგს — აღმზრდელს, რომელიც უნდა იყოს კეთილ-ზნეობიანი და მუდამ სკდილობდეს აზრობისათვისი მოწვევით უფკველი სიტუაცისა. 6—10 წლამდის ბავშვს უნდა ასწავლონ გიმნასტიკა და მუზიკა. ამ ორი საგნის სწავლება თანასწორად და თანაბრად უნდა მიდიოდეს. თუ უმეტესი ყურადღება ექმნა მიქცეული მუზიკის სწავლებას და ნაკლები — გიმნასტიკას, ბავშვის სული დარბილდება, დასუსტდება და გაქალაჩუნდება. უკეთუ უმეტესს ყურადღებას გიმნასტიკის სწავლებას მიაქცევენ და მუზიკისას ნაკლებს — ბავშვი გამოეა ფიზიკურად ჯან-მრთელი, მაგრამ ხსიათით კი მჩისე და გაუზრდელი. არ უნდა დავივიწყოთ აროდეს — ამბობს პლატონი — ის ქვემარბიტება, რომ ჯანმრთელი სსკული კი არ შეეკმის სისრულეს სულისას, არამედ სიმშვენიერე სულისა წარმოაშობს სსკულის სიმშვენიერეს, რადგან სული მადლს სდგას სსკულსად და იმსჯელ წინ არსებობს. აქ პლატონს სახეში აქვს პირველ არსებობა სულთა (предсуществование душ).

ილ. ფრამკ



### თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 22 ნოემბერს 1816 წელს. მისი მამა თავადი მელიტონ ბარათაშვილი პატარაობიდან თბილისში სცხოვრებდა, იმ დროის შესაფერად ნაწიწელი კაცი იყო და ქართული ლიტერატურაც საკმაოდ ჰქონდა შესწავლილი. მელიტონი სიტყვა მოსწირებელი და ნიკიერი კაცი იყო. მის ოჯახში ხშირად დაიარებოდნენ იმ დროის შესანიშნავი პირნი. მელიტონ ბარათაშვილი იმდენად პატივცემული იყო სასოგადოებისგან, რომ რამდენჯერმე იგი აღჩეულ იქნა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

დედა ნ. ბარათაშვილისა იყო უფროსი და თ. გრიგოლ დ. ორბელიანისა ქალი განათლებული და ნიკიერი, რომლის დები, ვეზირაგისა და ზუმბათაშვილისა დღესაც ცოცხალნი არიან. ნიკოლოზ ბარათაშვილს ტატოს უწოდებდნენ პატარაობისას. პატარაობიდანვე იგი ძლიერ ცნობის მოყვარე და ნიკიერი იყო. 1827 წელში ის შეიყვანეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელი სასწავლებელიც 1830 წელში გიმნაზიად გადაკეთდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსებს სწერდა მოწაფეობის დროსაც. ბევრი რამ შეემთხვა სწავლის დროს, ბევრი მწუხარება გამოსცხდა ახალგაზდა მგოსანმა, რომელიც მრავალს სხვასაც ხშირად ხელება ხოლმე წილად სასწავლებელში, მაგრამ ნიკოლოზმა მინც ვაათავა სწავლა. ყმაწვილი შეწივრად ატარებდა დროს თავის მშობლების ოჯახში, რადგან ხშირი წყევულება იყო გამართული იმ დროის დიდებულ ქართველებ შორის. ამ წვეულებასთან გაჩაღებული იყო ბანქოს, ნარდის და ლოტოს თამაში, თარ-ქიანური, დიპლომატიკა, ლუკური და სხვა-და-სხვა დროს გატარებდა. მალე მოყირქდა ნიკიერი მწერალს ყველა ეს ქვიფი და დროს ტარებდა. 1835 წელში ნ. ბარათაშვილი შევიდა სამსახურში და დანიშნა სისხლისა და სამოქალაქოის სასამართლო პალატაში სტოლის უფროსად.

1844 წელში ნ. ბარათაშვილი დანიშნა ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანამეწყეტი. მაზრის მართვლად ამ დროს იყო თ. ლ. მელიტიშვილი. 1845 წელში ნიკოლოზ ბარათაშვილი ამავე თანამდებობა-

ზე გარდაყენილ იქნა ელისავეტოპოლში. მას არ უნდოდა გადასეულა ელისავეტოპოლში, მაგრამ სილარიზე ძალას ატანდა. მამა მისი, რომელიც მტკიცედ ასრულებდა სხვა ჩვენ ქართველ თავადებთან ერთად დადებულ პირობას: ვითამაშოთ, დრო ვავატაროთ, ეჭაშოთ, ესეთ, და ჩვენ შემდეგ ქვეყანედ წავიღარჩინოლა. რასაკვირველია, სილარიზეში ჩავიღარდა, მაშულები გაუიყიდეს და შეიღარა არა თუ თეთითან აძლევდა შემწეობას, პირიქით მისგან მოვლოდა თავის მამულების გაუიყიდესაგან გამოსხნას.

1845 წელს, ზაფხულში ნიკოლოზ ბარათაშვილი გახდა ავად ცუდი ცივიებით და ოქტომბრის თვეში გარდაიცვალა. მისი გვაში იქვე დამარხეს და მისი საფლავიც მალე დაიწვეს.

1891 წელში აღიძრა კითხვა იმ სასაულოას გაუქმების შესახებ, სადაც დამარხული იყო ეს ჩენი ნიკიერი მწერალი. აღიძრა კითხვა მის ნეშტთა თბილისში გადმოტანაზე და მართლაც მშენიერად დაგვირგინდა ეს საქმე. გავთე იგერიან-ში შემდეგ ამავეს ვკითხვლომთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტთა თბილისში მოსყენების შესახებ:

გვიკა დღეს, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტუფლისის რკინის გზის ვაგზალზე, სადა მოელოდნენ ნ. ბარათაშვილის ნეშტს განჯადამ. ვაგზალის არკამარესს და თეთი მისასყელად მოეღანზე ჭვება იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრება თავი. რკინის გზის ბაჟანზე იდგა შემოდილი უფოლად სამდელო კუბოსკომისა გოჩისა ალექსანდრე არკამანდრატებათა და სამდელოებით. აქვე იყენენ წარმომადგენელნი ქართველ ინტელექტულისის და მადლის საზოგადოებასს, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტატები სხვა-და-სხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებთა მოკრების კუბოს შესამკობად. 9/1 სათზე მოკადა მატარებელი და გავინდამ გადმოსკენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჭვენენ მოკრის სათესვაი, ლეიძელა ბაძაშვილი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა მატარებელნი ქართველნი, რომელნიც გავსაზინი იყენენ განჯას. მდირე მანაშვილის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოსკენეს ვაგზალდამ სამდელოვარო წმინდა დმირთო-ს გოლობითა. აქ, ვაგზალთან, იმოდენა ხალხმა მუხლი მოიღიოვა და მატევი სტადიბულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და ტეპარათა ლატანიით დიდუბისკენ. ამფიანნი შემეული იყო მდირეისას სხვა-და-სხვა გვარის გვირგვინებით, კუბო



სულში უკითხეთ: ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავეებს და ისე მიახვეწებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორც გაღობდა: ხორც ქალებისად, სასულიერო სემინარიის შეკრდობასად, სათავად-ახნაურთ სვალის მოწყვეთა და მ. შარბიას, ბ. თ. ქორაძის სულმძღვანელობით. ქალების ხორც შეადგენს თბილისის დედათა სახანძრის სასწავლებლის კურს-დასრულებულ შეკრდობისაგან მღვდელს მ. კ. კარბელაშვილს. როცა ლიტინის მოსახლეობა ეგვიპტის, ხალხმა კვლავ მოიდგინა მუსლი, მისმა უოკლად უსამღვდელოესობამ წარმოიტყვა შესაფერის და გრძობით საესე სიტყვა. თვით ეგვიპტისაში სიტყვა სთქვა წიანობის დროს მღვდელმა ტინტაქემ.

სიტყვები და ლექსები წარმოიტყვეს: თ. ავაგი წერეთელმა, თ. ილ. უკუჩავაძემ, გნ. ნ. კარბელაშვილმა, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუშმა, ქუთაისის ღმერთ-ტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა და სხ.

ამ ხანად მოგვეყვას სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისის ქალაქის მოურავის ბ. ლოლუშის:

როდესაც კაცის წინ უგუო სდგას, როდესაც იგი პირდაპირ სამარს დაჭურჭებს, მისი სული უოკლეთვის გლოვითა და მწუხარებით არის მოტეული. მაგრამ დღეს ჩვენ სხვა რამე გვრძობთ, სული სხვა გრძობით არის ხავეტე ჩვენი სული. ნაცვლად გლოვისა, ნაცვლად მწუხარებისა, ჩვენ დღეს მსოფლივ ერთ ბრწყინვალე დღესასწაულს ვხედვით, მატრო სიხარულსა გვრძობთ. დღევანდელი დღე არის და სამარადისოდ დანება ერთ საუკეთესო დღე სეპარტივლად ერთს ცხოვრებაში, არის სასიხარულო უოკლეთის კატისათვის, ვისაც კი სწამს და უოკლეთის კეთილი ჭეშმარიტება და ახარების მთი წინსვლა და გმარჯვება.

ნოელოზ ბარათაშვილი გაზრდილია 1845 წ. გაზრდილია უფრო ქვეყანაში, მაგრამ ახლოს, ძალიან ახლოს საქართველოსთან. მასწინაც იყო საქართველო, მასწინაც ქართველები, მასწინაც სწორედნი და გითხულობდენ; მაგრამ საქართველოს არ უყვებო, არ გაუბო, არ უგრძობია, რომ მან დაჭვრეტა საუკეთესო შვილი. ბარათაშვილი მიზანდა მიწას უფრო ქალაქში უოკლეთის კაცისაგან დაიწყო სული.

ამგვარი დასასრული საზოგადო მოღვაწისა იყო ჩვეულებრივი ჩვენი ქვეყანაში. ეს კარვად იცოდნა ჩვენთან

მოკლებანი, — იცოდა მან, რომელიც მუდამ სტირლად სულს სიბოლეს, რომელიც გლოვად განჭრბას სახელთა მითთა, ვინც მიმუღლისათვის თავი დასდევს.

გაიარა თათქმის ნახევარმან საუკუნემ, შეცვალა დრო. შეცვლილან თვით ქართველებიც, და დღეს ჩვეულებათ, რომ ივინა შეკრებოლან აქ მის სადღებლად, ვისიც დაჭვრეტა 47 წლას წინათ იმით ანბთად არ გაუციათ. კარვს მთქმელს კარვო გამტონი უნდა. ბარათაშვილი იყო კარვო მთქმელი, მაგრამ ჩვენ ვერ ვუვით კარვინი გამტონინი. ის, რასაც ვხვალ აქ ვხედვით, ცხადათ გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ეს ნაცვლულება გატვისწარება, თუმცა ამისთვის ნახევარ საუკუნე დაგვიწინდა. აი, ბატონო, რას გასწავებს დღევანდელი დღე, აი მიხვინი ჩვენი სიხარულისა და დღესასწაულისა.

სამშობლოს მადლობა, სამშობლოსაგან ხსენება არის საუკეთესო და უდიდესი ჯილდო, რომელსაც კი საზოგადო მოღვაწე მიიღებს და რომელსაც სამშობლოთაგანს ერთგულს შვილს ამაგვრს მადლობას გაზრდუნდის, ეს გაგრძობა უოკლეთის სწავტეო და სასიხარულად, იმიტომ რომ ცხადად გვიმტკიცებს და დარგანსებს, რომ კეთილს საქმეს თვინი მოუღვამს და წინ წასულია.

ესლა მოკრეტივი შენკან, სასიხარულო ჩვენი პოეტო, მოკრეტივი ვითარცა წარმომადგენელი ჩვენი ძველის დედაქალაქისა, მის მიერ აქ შენდა სადღებლად წარმოგზავნილი. დღეს ჩვენი ქვეყანაში არ არის გუთხე, სადღე შენი ხსენება, შენი ქება არ იყოას. შენ დღეს შეკრეთ ივინი, ვინც უმთა ვითარებაში და კაცთა უმტრებაში ერთმანეთს დააშორა, შესახლად გაჭვარა, — შენ, 47 წლის მკვლარმან, შენას მიღვარის სულით მათ აგრძინობინე მძობა, ერთობა და შეჭვარე შენდა სადღებლად. გაიხაროს შენთან სულმან: იგი აღარ არის რბოლი. მე შენთვის არ ვინატრნი საუკუნო ხსენებას: შენი სული არის დროს არ განმოჭრება ქართველებს და ვიდრე ანსობას ქართველობა, ვიდრე არსობას ქართველი სიტყვა, შენი სახელი არის დროს არ მოიშლება.

### თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის კადმოსეფებისა კამო.

ორმოც წლის წინედ სუელ უცხო მხარეს  
ერთგული შვილი საქართველოსი  
მიწამ მიიკრა ვით მეგობარი,  
აღარ აღირსა ხილვა მდებლისი,  
სადაც სიურმითვე ნეტარ-ხსენებ უფს  
თვის ტებილი ჩანგი დაუფერია,  
ღ ხალხთ საამოდ, ვით ღამამ ბულებელს,  
სამპურ ენით დაუბფერია.

შესწუდა უდროოდ მის ჩანგის ქვედა,  
გულის წარმტაცვი და სამური.  
აღსავსე გრძნობით ნამდვილ ქართველის,  
დამატკობიელი, მეგობრულ-ძმური.

განვლო რა ხანმა, და აღიჭურვენი  
სწავლით ქართველნი თვის სათემოში,  
ისურვეს მოძმეთ—გადმოეტანათ  
ხვეწილი გვაძი საქართველოში,  
და უსუფლოსთვის მუნ მიერთიანთ  
ხარკი დიდების ტებილ სამშობლოში.

აღსრულდა კიდეც ქართველთ სურვილი,  
რომელით ასრულეს დიადი ვაფი,  
და დაატასეს მოძმისა შრომა,  
პოეტის ნიჭი და მისი ძალი.

ნეტარ არს იგი, ვისაც ეფიერსა  
სამარადისო ესდენ დიდება!  
დიდება იმას და იმის სახელს,  
ის არასოდეს აღარ მოკვდება!..

მალაქია ბოლქვაძე.

1898 წ.  
22 აპრილს.

### ლმერთი რად მიჰქმნს ამასა?


მიყვარს სამშობლო ენაზე  
უფლის ღიღება, ქებანი,  
წირვა-ლოცვისა მოსმენა,  
მღვდლისაგან ქადაგებანი,  
ორ გუნდათ კანანარხითა  
გალობა, ლალაღებანი;  
ლმერთი რად დაშხჯის ამისთვის?  
არ არის მისი ნებანი?

ესკოდე უფალსა ვით კაცან,  
დაეხსენ იმისი მტენებანი,  
მერმე მოეგე გონებას,  
მწადს მისი მონანებანი,  
მღვდლისაგან მინდა ესმინო  
ოთხ-თაენი სახარებანი,  
აი ამისი მჭირია  
მშობლურ-ს ენაზე სმენანი;  
ლმერთი რად მიჰყენს ამასა?  
არ არის მისი ნებანი?

მშობლურს ენაზე თუ მესმის  
ტაძარში ღვთისა სიტყვანი;  
მღვდლისაგან—შედილობანი,  
მედაეთნისგან კითხვანი,  
გულის სიღრმედის ჩაღწევის,  
აღმეძვრის სასოებანი;  
სახლოში ებრუნდები იმედით,  
რომ მეპატივა ცოდვანი.

გავსინჯოთ სიღრმით გულისათ  
ზეცისა მოწყალებანი:  
უფლომან მოციქულებსა  
ასწავა უცხო ენანი,  
და რქვა: «გინ რომელ ენითაც  
შესძლოს სიტყვისა სმენანი,  
ყველას იმ ენით აუწყეთ  
უბგი წყალობა ზენანი».  
უფლის ბრძანებით ამ წესზე  
მესმოდეს სახარებანი,  
ლმერთი რად დაშხჯის ამისთვის?  
რაც არის მისი ნებანი?!

რ. საჯახოელი



მოკვის ტაძარი აღმოსავლეთის მხრით.



მ ა ჯ ე მ ს ი

მ ა ჯ ე მ ს ი

— მოქვის ღიღებულნი ტაძარი ძვეს მთაში, მოქვის  
 მდინარეზე, აფხაზეთში, შვიი ზღვის მახლობლად და-  
 ბა ოჩამჩირედგან 20—25 ვერსის მოშორებით. ეს  
 ღიღებულნი ტაძარი ცხადად მოწმობს, რომ აფხაზეთი,  
 რომელიც დღეს თითქმის გვერანებულია, ძველ  
 დროში აყვავებული ყოფილა როგორც ეკონომიუ-  
 რად ისე სარწმუნოების მხრით. ტაძარი სდევს მდი-  
 ნარე მოქვის მარცხენა მხრით ცოტა მაღლობ ად-  
 გილზე. 1859 წელს ეს ტაძარი უნაზავს ჩვენს ისტორი-  
 კოსს დ. ბაქრაძეს, რომელიც აი რასა სწერს ამ

ტაძარზე: «ეს ტაძარი მე ვნახე იმავე მდგომარეობა-  
 ში, რა მდგომარეობაშიაც იგი უნაზავს 1848 წელსი  
 აკადემიკოსს ბროსეს, რომელიც აღტაცებაში მოიყ-  
 ვანა ამ ტაძრის გვეგამ, დიდ-შენი ეკლესია მოქვისა  
 შეფუთილია სურათი; თვით გუმბათი ტაძრისა  
 მწვანილოვან ბაღად არის გადაქცეული, რომელზე-  
 დაც უზარ-მაზარი ზეები ამოსულან და წარმოადგენს  
 ვანსაცეფურებელ სურათს. შიგნით მაღალი თეთრი  
 ქვის ნათალი სვეტები ისრებსავეთ ამართულან ზე-  
 ცისკენ და ჰყოფენ ეკლესიას ხუთ კილობნად. ია-  
 ტაკი ტაძრისა მარმარილოს ქვით არის მოგებულიც  
 ფერად-ფერადი შუშის ნატყებები აქაიქ დაყრილი, სა-  
 კვირველი ჩუქურთმის წმინდა ხელობა ეკლესიის



არსებზე ამტკიცებენ უმაღლესს ხარისხამდის მიწე-  
ნილს ძველს ქართულს ხელოვნებას. შეენიერი ღე-  
რეფანი ქვის სვეტებზე დამყარებული ვარწმომარტყ-  
თელი აქვს ტაძარს თითქმის გუმბათამდის. გუმბათო-  
ვში და სვეტებზე თავების ერთმანეთზედ გადასაბმე-  
ლად აგურია ნახშირი. კარის ბუკები ჩამონგრეულია,  
სანათურებში შუშები დასხვრეულია; ნახევარი არში-  
ნი სისქე ნავაგი დაყრილია იატაკზედ; სამშუხაროდ  
ტაძრის კედლებზე ზედ-წარწერა აღარსად ეტყობა. ტაძრის  
გარეთ არის ეგებრითელა სამრეკლო, მარჯვენით არის  
ევისკოპოსის საცხოვრებელი სახლის ნანგრევები, მარცხნივ  
არის პატარა სტოვა, რომელიც დღეს მთლად დაზღვეულია  
და მეცნარეებით არის დაფარული. ეს შენობები შეადგენენ  
ერსოვს და მავარს ვალაენანს მოქვის ტაძრისას. ძველად ამ  
ტაძრის შიგნითა და გარეთა კედლებზე ბევრი წარწერები  
ყოფილა, როგორც მოწმობს იერუსალიმის პატრიარქი  
დოსითოვოზი, რომელიც ყოფილა საქართველოში და  
მიმოუხილავს მოქვის ტაძარი 1659 წელში. ამ პატრიარქს  
მოქვის ტაძარზე უნახავს შემდეგი ზედ-წარწერა: «დაბატულია  
იმპერატორ ალექსი კომნინის დროს, აფხაზეთის დიდის  
მეფის დაიეთის მეფობის დროს». ალექსი I მეფეობდა  
1080—1118 წლებში, ხოლო დაიეთ ალმაშეგბელი  
1089 წლიდან 1125 წლამდე; მაშასადამე ამ ტაძრის  
შხატელობა ეკუთვნის ამ დროს ბროსეს ფიქრით». როცა  
მეორეთ უნახავს ეს ტაძარი დიმი. ბაქრაძეს, აი რას  
მოგვითხრობს: ის პატარა ეიწრო გზა, რომელიც მე  
ენახე 1859 წელში, დღეს დიდ სასოფლო შარად არის  
გადაკეთებული, ვალაენანში დაბანაკებულია ყაზახების  
ჯიხა, ხოლო თეთონ ტაძარი განახლებული იყო აფხაზეთის  
მაშინდელი მფლობელის მიხეილ შერვაშიძისაგან,  
მაგრამ არა იმ სიმშვენიერით, რაიცა ჰქონებოდა ამ  
ტაძარს პირველად. ეს დიდებული ტაძარი ვადუშე-  
თებიათ სამრეკლო ეკლესიად, რომელშიაც ასაფ-  
ლაყენებ აფხაზეთის გამგე თავადების სახლყოფილობათა.  
ამ ტაძარში არის დასაფლავებული მიხეილ შერვაში-  
ძის მეუღლე და შემდეგ თეთონ ეს თავადი. ვახუშ-  
ტის სიტყვით მოქვის ტაძარი აღმშენებია აფხაზეთის  
მეფეს ლეონ III, რომელმაც აღაშენა ქუთურის  
დიდებული ტაძარი ახალ-ქალაქის მახრასში და რომელიც  
გარდაიკვალა 957 წელში. რომ ამ მგეფელის არ  
ყოფილა აღმშენებული ეს ტაძარი, ამას ამტკიცებს  
ის ვარემოვბაც, რომ მოქვის ევისკოპოსი მოხსენე-

ბული არ არის იმ აქტში, რომელშიც აღწერილია  
იერარქიული წესი საქართველოს ევისკოპოსებისა. ეს  
აქტი ეკუთვნის იოსებმანის აზრით მე-VIII საუკუნეს.  
როგორც სწანს მოქვის ტაძრის ხატის ზედ-წარწერა-  
საგან, რომელიც, ხატი, ინახება ზუგდიდის ეკლეს-  
იაში, მოქვის ტაძარი აღმშენებული ყოფილა ღეთის  
მშობლის სახელზედ. მეფე გიორგი პირველი და ძე  
მისი ლეონ მესამე აფხაზეთა მეფენი მეფობდნენ 39  
წელი. საკუთრად ლეონ მესამე მეფობდა 2 წლის  
განმავლობაში. ცხადია, რომ 2 წელს ეს მეფე ვერ  
აღაშენებდა ასეთს დიდებულს ტაძარს. შესაძლებელია  
მან მხოლოდ დაამთავრა მოქვის ეკლესიის აშენება,  
დაწყებული გიორგი პირველის აფხაზეთა მეფის მიერ,  
რომელმაც «ქართლის ცხოვრება» უწოდებს ეკლესი-  
ათა მაშენებლად. აქ იყენენ ევისკოპოსები, რომელნიც  
განაგებდნენ მოქვის და კოდორის მდინარეთა შორის  
მდებარე ადგილებსა. როდის გაუქმდა მოქვის  
საევისკოპოსო, სინამდვილით არ შეიძლება სიტყვას  
კაცა, რადგან ხელთ არა გვაქვს საჭირო ცნობები,  
მხოლოდ ვიცით, რომ XVII საუკუნეში ეს ენარქია  
არსებობდა. ამ საუკუნის პირველს ნახე ვარში  
მოქვის ევისკოპოსი დასწრებია კრებას, რომელიც  
მოხდა ქ. ქუთაისში და რომელზედაც გამო-  
ნახეს საჭირო ზომები, რომ ხალხში აღვამდღებიათ  
დაცემული ზნეობა.

### ახალი აშები და შენიშვნები.

ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ მაისის თვეში  
დანიშნულია იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების  
კრება ქ. ქუთაისში. კრებამ, სხვათა შორის, ხელახლად  
უნდა განიხილოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან  
არსებული პანსიონის დახურვის შესახებ კითხვა.  
წინა კრებანზე სამღვდლოებამ გარდაწყვიტა  
პანსიონის დახურვა, მაგრამ ამ დროს სასწავლებლის  
სამმართველოს არ წარმოუდგენია, თუ რა იქნებოდა  
საჭირო სასწავლებლის შესანახავად, როცა პანსიონი  
დაიხურებოდა. ესეა სამართველო დავალებულია  
შეაღწიოს სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვა  
პანსიონის შესანახავად საჭირო ხარჯის გამო-  
არჩევით და წარუდგინოს სამღვდლოების კრებას  
განსახილველად და დასამტკიცებლად.

\* \*



— გარკი ხანია, რაც გამოხენილი პროფესორი ფილოლოგია გარკიეა ამერიკიდან გაემგზავრა აფრიკაში მიამუშებებს ენას შესასწავლად. ამ დღეებში მასს სწერს თურქე, ჟურ 200 სიტყვებზე ვასწავლე მიამუნის სენასო. ოდღა-ათ სიტყვებზედ მეტი უფრო გარკვევით თქმის, მაგრამ იფაროვრადში გადაღება-გი ჟურ ვერ მოკავსრესო. მუკვ ესლა რამდენიმე უურა მიამუნის ერთი წინაწინზე, რომელიც მკაფიოდ მეუბნება სოლემე: «დღლა მშვიდობისა, უცხოელა!» ერთი გორადლა, რომელმაც ოღზედ მეტი სიტყვა იღის ფიფიას ენაზედ, და ერთი ორანგუნტანგია, რომელსაც ჩემმა მასწავრმა რადენიმე გემანული სიტყვა დაასწავლაო.

მადლობა შენთვის, დემერთო! ზოგიერთ ხალხს თავის ენას ავიწყებინებენ და მიამუნებს კი ასწავლიან მიამუნურ ენას!..

\* \*

აზრლის 24 დღის 6 საათზედ მათი მძალე უოგლად უსამდველოესობა საქართველოს ექსპანსიონა წაბრძანდა კასეთში სამწესოს დასათავალიერებლად. მთაი მძალე უოგლად უსამდველოესობა შობრძნდება ტფალი-სიდან ოჩხუკს, ვაზანსა, გომბოქს, შუა მთის მონასტრებს დასათავალიერებს და სიღამოს 6 საათზე თელავს შობრძნდება. მეორე დღეს დასათავალიერებს თელავის ეკლესიებს და სასწავლებლებს. 4 საათზედ წაბრძანდება სოიელ აწუურს. 26 აზრლს აწუურსიდან წაბრძანდება ალაგვრდის ტამრში, შემდეგ ახნეტას და თიანეთში. 27 აზრლს, დღის 6 საათზედ, თიანეთიდან უკან დაბრუნდება თელავზე და წაბრძანდება ს. კისელში, გრემსა, საბუქსა, შიღდასა და ევარქელში.

28 აზრლს, დღის 7 საათზედ, ევარქელიდან წაბრძანდება ისე თელავს, იქიდან სოიელ გურდღელაურს, წინანდალს, კონდოლს, აგურას, განნამანსა, ქალუქს, შაშანს, ურათუხანსა და გელსიცხეში, 29 აზრლს, დღის 7 საათზედ, გელსიცხედან ბაგურციხეზე წაბრძანდება ქ. სიღნაღს, ს. გურჯაანს, ბაგურციხეს, კანდანასა და ანაკში. 30 აზრლს დასათავალიერებს ბოღბის წმ. ნინოს ტაძრს და ნაშუადღევს 3 საათზედ წაბრძანდება ხანისა წმ. სტეფანეს ტაძრში. იქიდან წაბრძანდება ტფლისის.

წმ. მოციქულთ-სწორი მარია მგდალინელი.  
რა დროდამ არის შემოღებული წითლად შედებილი აგვრცხით აღდგომის მიმეგლევა ქრისტიანებში?

მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს ძველის დროიდან დღემდე აქვთ ერთი კარგი ჩვეულება—პასექის დღესასწაულში ერთი ერთმანეთს უმკლევენ წითელს კვერცხს, როგორც მოწმობს ზვიბირ-გარდმოცემა, წითელი კვერცხის კლევა შემოღებულთა წმ. მოციქულთ-სწორის მარია მგდალინელისაგან.

წმ. მარია მგდალინელი ჩამომავლობით იყო ისხანარის ტომისაგან, იგი დაიბადა დაბა მგდალაში, ამიტომ მარია მგდალინელი. იგი იყო შებყრობილ ეშმაკთაგან. როცა იესო ქრისტე მოგზაურობდა ვალილიაში, მარია მივიდა მასთან და სთხოვა მაცხოვარს, რათა მას განეკურნა იგი. უფლმა, როცა დანიხა მისი სარწმუნოება, განკურნა იგი და განდევნა მისგან 7 ეშმაკი. ამის შემდეგ მარია მი განათლდა ქრისტეს დეთაბრიე სწავლით და შეიქნა იესოს ერთგული მოწაფე. ის დაყვიბოდა ქრისტეს და ემსახურებოდა მას (მარ. XV, 40—41). მარია მი სხვა დედებთან ერთად მიჰყვიბოდა მაცხოვარს, როცა უფალი მიჰყავდათ ჯვარზე საცემლად და სტიროდა, როცა იხილა ქრისტეს წამება (ლუკ. XVIII, 28—55). მარია მი დესწრო მაცხოვრის გვიამს ჯვარისაგან გარდამოხსნას, გაჰყვა ქრისტეს გვიამს და იხილა, თუ სად დასაფლავეს იგი (მათ. XXVII, 61; მარკ. XV, 47) უფლის მკვდრებით აღდგომის დღეს მარია მი, დლით აღერ, მივიდა მაცხოვრის საფლავთან, რათა სცხოს იესოს გვიამს ნელსაცხებელი, მაგრამ მან ვერ ნახა იქ გვიამს ქრისტესი და ეს ამბავი მაშინვე აცნობა პეტრეს და იოანეს. შემდეგ მარია მი ხელახლად მივიდა ქრისტეს საფლავთან და პირველი ვიღირსა აღმდგარი ქრისტეს ხილვას, რაიცა მაშინვე აცნობა ქრისტეს მოწაფეებს.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ მარია მგდალინელი იმყოფებოდა წმ. მოციქულებთან და დეთის-მშობელთან ერთად იერუსალიმში და დეთის ვედრებაში ატარებდა დროს. როცა წმ. მარია მგდალინელმა იხილა, რომ ქრისტეს სწავლა წარმატებით ვრცელდებოდა იერუსალიმში, თვითონაც იწყო ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება. ამ მიზნით ის გაემგზავრა რომში. მივიდა თუ არა რომში, იგი გამოეკხადა



იმერატორს ტიბერის და უძღვნა მას წითელი კვერცხი და რქვა: ქრისტე აღსდგა! შემდეგ მან უამბო იმერატორს ქრისტეს წამება და ბრალსა სდებდა პილატეს, რომ მან უმართლოდ დასაჯა ქრისტეო. რომინდამ წმ. მქადაგებელი გაემგზავრა ეფესში, იოანნე ლეოს-მეტყველთან, აქ დაბინადდა იგი და ეწეოდა იოანნეს ქადაგების საქმეში. ეფესოში იგი გარდაიცვალა და აქვე იქმნა დასაფლავებულ. მებუთე საუკუნეში, საბერძნეთის მეფის ლევის I მეფობის დროს, წმ. მარიამ მაგდალინელის ნაწილი იგადასვენეს ეფესოდან კონსტანტინეპოლში.

მარიამ მაგდალინელის მიბაძვით, რომელმაც იმერატორს ტიბერის მიართვა წითელი კვერცხი, ქრისტეანები პაექის ღვთისმეტყველებს ერთიერთმანეთს წითელს კვერცხებს. ეს ჩვეულება დღემდე იხილავთ ანტიკურ მთელს დედამიწაზე, სადაც კოსტოფორებენ მართლ-მადიდებელი ქრისტეანები. უნებლიედ იბადება კითხვა—რაგომ მაინც-დამაინც წითელი კვერცხი მიართვა მარიამმა იმერატორს და არა სხვა რაიმე ნივთი? ეს გარემოება აიხსნება იუდეულების ძველი ჩვეულებით, რომლის ძალით იგიინ თავის მეგობრებს, კეთილის-მყოფელთ და მეუღროსთა მიართმევდნენ ხოლმე კვერცხს ნიშნად პატივისცემისა. მაგდალინელმა, როგორც ღარიბმა ქალმა, რომელსაც არ შეეძლო რაიმე უფრო ძვირფასი ნივთის მიართმევა, მიართვა იმერატორს კვერცხი—ეს ჩვეულებრივი საჩუქარი ღარიბთა. ამასთან აღდგომის წითელს კვერცხს აქვს სხვა მომასწავებელი მნიშვნელობაც. წითელი კვერცხი მოგვაცანებს ჩვენ ქრისტეს მეკრძრეთი აღდგომას და ყოველთა მიტყალბუთლთა აღდგომას, ეინადგან როგორც კვერცხის უსულო ხეყეჟოსადგან იბადება ცოცხალი აჩრება, ისე საფლავიდგან, რომელიც არის დასაბამი სიცილიისა და ხრწნილებისა, აღსდგა მაცხოვარი და ოდენმე აღსდგებიან ყველა გარდაცვალებულნი მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის. მარიამმა რაღა წითელი კვერცხი მიართვა იმერატორს? შეიძლება, წმ. მაგდალინელმა, რომელიც იყო ჭეშმარიტი ისრაელი, შეღება კვერცხი, მსგავსად იმისა, როგორც იუდეულები პაექის ღვთისმეტყველის ჩვეულებისამებრ, პაექის ღვთისმეტყველად დაკლული ზებრაყის სისხლს წაუტყავდნენ კარგზე, და ამ საბრძოლველად უჩინა იმერატორს, რომ ჩვენ გამოვიხსნით თავი მატოისნითა სისხლითა, ვითარცა ტარაყის უბიწოას და უმსჯიას ქრისტესითა (აპეტრ. 1, 18).

### რედაქციის პასუხი

მღვდ. ა. არ.—. აი რომელ დღეებში არ შეიძლება გარდაცვალებულია დაწარხვა: პაექის დღეს და ქრისტეს შობას საღამომდინან და მათი იმერატორებითი უდიდებულსობათა, მესგავდრე ცესარეებისა და ცესარენასს სახელწოდების დღეს, აგრეთვე მათი იმერატორებით დიდებულსებათა ტანტუდ აღსვენის და გვირგვინოსების დღეებში. (ინილექსი. სინოდისა 1844 წ. 29 მასის; 1862 წელს 2 მარტს).

შემოსწავნებულ დღეებს გარდა ყოველთვის შეიძლება დაწარხვა გარდაცვალებულისა როგორც ერის კაცის ისე მღვდლისა, კარგია, რომ მღვდლის წესის ატემაზედ დესეროსს 6—7 მღვდელი, მაგრამ, თუ შესაძლებელი არ არის ოთხი ნუთი მღვდლის შოვა, მაშინ ერთსაც და ორსაც შეუკლია აღასრულოს წესი.

მღ. ზ.—მე ნე.—მე. თქვენი სჯატია მკანებელი ჩვეულება არ იხტება. ვაყლესიაში გარდაცვალებულის დაწარხვა მკანებელი ჩვეულება არ არის. საფლავის დაწარხვა ღვთისმეტყველისა არ უკარგებს მლოცვეს, პირიქით ზოგერთი გზა-და-გვალ დაწარხული კაცი ჭეშმარიტ გზას აღგება, დასაფრუებული არ არის ექიმისაგან გაზგადებული აზრი სასაფლავოების მკანებლობაზედ. რომ კარგად გამოვივლით, დავრწმუნდებით, რომ ყველგან ერთნაირად იბადებიან და ჭვედებიან და შესაწინევი სარგებლობა არ მოაქვს მიტყალბუთლთა გვაშების დაწესება და არც მიტყალბუთლთა დასაფლავებას მოაქვს კაცობრიობისათვის შესაწინევი გნება.

შინაბრძნი: მოსტყვევული მღვდლების დაბოგნისა გამო.—მედაგოგორი შენიშნებიან სამრევლო სკოლის მასწავლებლთა საუფრადლოდ.—მედაგოგორის ისტორიიდგან.—თავნიკოლოზ ბარათაშვილი.—ნიკოლოზ ბარათაშვილის ნუსტის დადამოსწავნების გამო (ღექსი).—ღმერთი რად მიწყენს მასა? (ღექსი).—მოქვის ტყაბრი.—ახალი ამბები და შენიშნებები.—მოცუქელთ-სწორი მარიამ მაგდალინელი.—რედუქციის პასუხი.